



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000084908835220

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 12

23 / მარტი / 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე“ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის № 23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები“-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2020 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება თანდართული სახით.
2. დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს საპროექტო წინადადებების ინიცირება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.
3. განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის გამზ. №41).

ახმეტის მუნიციპალიტეტი 2020 წლის რეგიონული პროექტები

დანართი “ 2

№	პროექტები	პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)	მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	მ.შ. თანადაფინანსება	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
1	სოფ. ომალოს წყალსადენის სათავე ნაგებობისა და ქსელის რეაბილიტაცია	862 000	818 900	43 100	1.06.2020 30.10.2020	
2	სოფ. მატნის კულტურის სახლის სრული რეაბილიტაცია	1 750 000	1 662 500	87 500	1.06.2020 30.03.2020	
3	სოფ. ბაბანეურში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	550 000	522 500	27 500	1.06.2020 30.09.2020	
4	სოფ. აწყურის საბავშვო ბაღის მშენებლობა ორ ჯგუფზე	400 000	392 000	8 000	1.06.2020 20.12.2020	
5	სოფ. შუა ხალაწნის საბავშვო ბაღის მშენებლობა ორ ჯგუფზე	400 000	392 000	8 000	1.06.2020 20.12.2020	
6	ზურაბ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სკოლის დარბაზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია	1 357 230	1 289 330	67 900	1.06.2020 30.12.2020	

7	სოფ. ჯოყოლოში სკოლასთან მისასვლელი გზის, ჯოყოლო-დუმასტურის ხიდთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	400 000	392 000	8 000	1.06.2020 30.09.2020	
8	სოფ. ჯოყოლოს წყალსადენის სათავეს და მაგისტრალის მოწყობა	450 00	427 500	22 500	01.06.2020 30.10.2010	
	სულ:	6 169 230	5 896 730	272 500		